მომხსენებელმა განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ ორგანიზაციები, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს ტუნგოს გაშენებას, სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდენ ამ რთულ, ნაადგის და კლიმატური პირობების, აგრეთვე მოვლის მხრით მეტად ფაქიზ კულტურას. ამასთანავე სრულიად არ იყო მოწესრიგებული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება. შედეგად, ტუნგოს გაშენების საქმეში ჩადენილ იქნა დიდი შეცდომები, რამაც, მაგალითად, გამოიწვია ტუნგოს ნარგავების დაღუპვა ქობულეთის რაიონში (სოფ. ინჩაანი), ნერგების საგრძნობლად გაფუჭება და სხვ.

მიუხედავად ამისა, ტუნგოს პლანტაციების პირველი ბაზა შექმნილია. ამ მუშაობას აწარმოებდა სამი ორგანიზაცია: საავტო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“, „სოიუზმასლო“ და ტრესტი „ტეხლესსემკულტურა“.

საავტო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ თავისი სახსრებით, 1931 წელს გაშენებულ 4 ჰექტ. პლანტაციიდან ტუნგოს ნარგავების ფართობი გაადიდა 353,4 ჰექტარამდე. აქედან 117 ჰექტარი გაშენებულია აჭარისტანში; მაგრამ ამ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები რამდენადმე ჩამორჩა.

„სოიუზნოვმასლოს“ აქვს 69,5 ჰექტ. ტუნგოს პლანტაციები, მაგრამ ტუნგოს საბჭოთა მეურნეობისათვის ადგილის ნაჩქარევად, საჭირო წინასწარი გამოკვლევის მოუხდენლად არჩევა აფხაზეთში (მელორიეობის ყოფ. საბჭოთა მეურნეობა მოქმში, რომელიც მდებარეობს ტუნგოს განვითარებისათვის შეუფერებელ ვაკე ადგილზე) ჭრის საფრთხეს ამ კულტურის წარმატებით განვითარებისათვის. ამასთან ერთად მომხსენებელმა აღნიშნა: „სოიუზნოვმასლო“ ტუნგოს დარგვას დროს სრულიად არიცავს ცენტრში გამორჩეული ნარგავების დარგვის ნორმებს, რაც აჭიდროს საშუალებას არ გვაძლევს საფუძვლიანად და საჭირო სიზუსტით დავგეგმოთ ამ კულტურების, კერძოდ ტუნგოს, განვითარება. ამ მასალების უქონლობა აფერხებს სოციალისტური მეურნეობისათვის საჭირო სუბტროპიკული კულტურების გეგმით განაწილებას. ამიტომ განსაკუთრებით სასწრაფო და მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მეცნიერულ - კვლევითი საშუალოების დაჩქარება სუბტროპიკების კომპლექსური შესწავლის მიმართულებით.

თათბირმა აირჩია კომისია ტუნგოს კულტურის განვითარების საკითხებისათვის ლონისძიებათა შესამუშავებლად.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ-ში სახკოლო მშენებლობის უდიდესი ზრდა (4.400 მეტი დაწყებითი და საშუალო სკოლა და ნახევარი მილიონი მოსწავლე) გადაჭრით მოითხოვს განათლების სახალხო კომისარიატისაგან კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. ხოლო უკანასკნელ დრომდე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობა საკმარისად რიდი უზრუნველყოფდა სკოლების უშუალო ხელმძღვანელობით და მასწავლებლების სისტემატიური მეთოდიური დახმარებით მათ ყოველდღიურ სასწავლო - საგანმანათლებლო მუშაობაში. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სტრუქტურა არ შეესაბამება პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა საფუძველზე სკოლის გარდაქმნის ამოცანებს, ფუნქციების ცალკეულ სექტორებზე დაუსაბუთლობისა და მუშაობის ცალკეული დარგების ხაზით ერთ პიროვნული ხელმძღვანელობის უქონლობის გამო. მუშაობის ხასიათი უარესი მნიშვნელობის დარგი, როგორიც სტაბილური სასწავლო წიგნების შექმნაა, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატში უზრუნველყოფილი არ იყო ხანგრძლივი რგოლეულობით და ამ მუშაობას ახორციელებენ თავიანთი ხასიათი „უნივერსალური“ და „ყოვლის გარეშემცველი“ ორგანოები (სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო).

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის სტრუქტურის და მისი ადგილობრივი ორგანოების შეუსაბამობამ წარმოშვა სკოლის ის ძირითადი ნაკლოვანებანი, რაც აღნიშნულია სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში და მთავრობის დადგენილებებში პროგრამებისა, სკოლის რეჟიმისა და მოსწავლეთა შეხაბებ.

ამის გამო სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია, რათა მოხდეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაცია იმ თვალსაზრისით, რომ ყურადღების ცენტრში მოქცეული იყოს სკოლისათვის ოპერატიული მაღალ ხარისხოვანი ხელმძღვანელობის გაწევისა და მასწავლებლებისათვის მის ყოველდღიურ მუშაობაში კონკრეტული მეთოდიური დახმარების აღმოჩენის ამოცანები, აგრეთვე პედაგოგიური კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე.

ამისდამიხედვით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი

ადგენს:

I. გაუქმებულ იქნეს:

ა) სახელმწიფო სამეცნიერო სახმო;

ბ) სახწავლო-სამეთოდო სექტორი;

გ) ხელოვნებათა სექტორი;

დ) კადრების მომზადების სექტორი;

ე) მასწორი პედაგოგათა სექტორი;

II. მოეწყოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის შემდეგი სამმართველოები და განყოფილებები:

ა. სამმართველოები:

1. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო, რომელიც განაგებს პროგრამების და სახწავლო წიგნების შემუშავებას, სწავლების მეთოდების დამყარებას, სკოლების ინსტრუქტირებას, სასკოლო მეურნეობისა და პედაგოგიური პერსონალის შერჩევის საქმეს, და ანზორციელებს სკოლების ხელმძღვანელობას; ამ სამმართველოს შედგენილობაში შედის:

ა) პედაგოგიური პერსონალის შერჩევისა და განაწილების სექტორი;

ბ) პროგრამებისა, სახწავლო წიგნებისა და სწავლების მეთოდების სექტორი—სახწავლო წიგნებისა, სკოლის გარეშე მუშაობისა და სანიმუშო სკოლების ჯგუფებით;

გ) სატრანსპორტო სკოლების სექტორი;

დ) სკოლის საორგანიზაციო-სამეურნეო საკითხების სექტორი.

2. მასწავლებელთა მომზადების სამმართველო შემდეგი შედგენილობით:

ა) უმაღლები პედაგოგიური სახწავლებლებისა, მუშათა ფაკულტეტებისა და პედაგოგიური ტექნიკუმების სექტორი;

ბ) სამხატვრო და სამუსიკო განათლების სექტორი;

გ) დაუსწრებელი განათლებისა და მასწავლებლობის კვალიფიკაციის ამაღლების სექტორი.

3. სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა სამმართველო — შემდეგი შედგენილობით:

ა) უნივერსიტეტის და ასპირანტურისა და სამეცნიერო მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების სექტორი;

ბ) სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა სექტორი;

გ) კულტურის ძეგლთა დაცვის სექტორი;

4. თეატრების და ხანაზოობის საწარმოთა სამმართველო — შემდეგი შედგენილობით:

ა) თეატრების სექტორი;

ბ) სანახაობების საწარმოთა სექტორი.

ბ. განყოფილებები:

1. სკოლამდე აღზრდის განყოფილება.

2. მოზრდილთა სკოლებისა და კურსებზის, ჯოხ-სამკითხველოების, კლუბებისა, კულტურის სახლებისა და კულტურის და დასვენების პარკების განყოფილება.

3. საგეგმო-საფინანსო განყოფილება.

4. სამშენებლო და სამომარაგებლო განყოფილება.

5. სპეციალური განყოფილება.

6. საბიბლიოთეკო განყოფილება.

7. საქმეთა მმართველობა და სამდივნო.

III. დატოვებულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში: ლიტერატურისა და გამომცემლობის სექციათა მთავარი სამმართველო და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა („ხახელგამი“).

IV. მოწყობილ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატთან: პარტიისა და მთავრობის მიერ სახალხო განათლების სახით მიღებულ უალრესი მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა აღსრულების შემმოწმებელი ინსპექტურა და პროფესიონალურ-ტექნიკური სახწავლებელთა კომიტეტი.

V. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის შემოდინების გარდაქმნამ არ უნდა გამოიწვიოს ამ კომისარიატის 1933 წლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების გადიდება.

VI. მიეწოდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს: ა) წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილების სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების აპარატის გარდაქმნის შესახებ: ბ) შეუთანხმოს ერთი დეკადის ვადაზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს თავისი შტატი და გ) წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს საქართველოს სსრ განათლების სახახო კომისარიატის დებულების ახალი პროექტი და პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე შ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ბ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. ღლონტი.

1933 წ. ოქტომბრის 11.

ტფილისი.

სახერხი ქარხანა კვლავ ჩამორჩენილია

(ზუგდიდი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

„რახანკერველია, ქარხნის სამარცხვინოდ ჩამორჩენას ერთი მხრივ თავის ობიექტური მიზეზები აქვს“, ასე იმშვიდებდა თავს ზუგდიდის ხე-ტყის სახერხი ქარხნის კედლის გაზეთი „დამკვრელი“. გაზეთის „ობიექტურ მიზეზად“ მუშების უყურადღებობა მიაჩნია.

სამდვილად კი რა არის ჩამორჩენის მიზეზი? ის რომ რაიონულმა პარტკომულმა და ხაბჭოთა ორგანოებმა საკმაოდ არ გაშალეს მტკიცე ბრძოლა ხატყეო გეგმების შეუსრულებლად, რის შედეგადაც ადგილი აქვს საწარმოო გეგმების შეუსრულებლობას და ეკსპორტის გეგმის შეუსრულების ჩაშლას“ (საკ. კ.პ. (ბ) ამირ „კავკაზის სამხარეო კომიტეტის დადგენილებიდან).

გვინა ამის დამადასტურებელი ფაქტი არ არის ის, რომ მას შემდეგ, რაც პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და პოლიტგანყოფილებამ გააძლიერეს ხელმძღვანელობა ქარხანაზე, სულ რამოდენიმე დღის განმავლობაში შესაძლებელი გახდა ქარხნისათვის 227 მუშის შეგროვება?

მაგრამ ეს საქმე არ წყვეტს, საქმე ცოცხალ ხელმძღვანელობასა და საშუალებათა რაციონალურად გამოყენებაშია. ამ მხრივ ზუგდიდის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ქარხანა ამჟამადაც სამარცხვინოდა ჩამორჩენილი. საერთო პროდუქციის გეგმა მუშაობის 8 თვის გეგმა (იანვრიდან სექტემბრამდე) შესრულებულია 47,7 პროცენტი, აქედან ექსპორტის მხოლოდ 35,5 პროც. არც უკანასკნელი თვეები ძლევა თვალსაჩინო გარდატეხის მაჩვენებლებს. თუ აგვიხსნები დახურვის გეგმა შესრულდა 48,2 პროც. საერთო პროდუქციის გამომუშავების გეგმა 39,2 პროც. და ექსპორტისა კი 28,4 პროც. სექტემბრის თვის 26 დღეში დახურვის გეგმა შესრულებულია 42,8 პროცენტით, საერთო პროდუქციის გამომუშავების —44,9 პროცენტით და საექსპორტისა კი —30 პროცენტით.

ქარხნის ხელმძღვანელობას ახლა არ შეუძლია თავი იმართლოს „ობიექტური“ მიზეზით მუშა-ხელის უყურადღებით, ქარხანა ძირითადად უზრუნველყოფილია მუშახელით, მხოლოდ საჭიროა მუშაობის ბოლშევიკურად გარკვევიდან გამოვიდეს.

არ წარმოებს ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ივლისში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 42,8 პროცენტით დაეცა, აგვისტოში 21 პროცენტით.

ქარხანაში უხეშად ხახენდება შრომის ხელფასის ორგანიზაცია, ადგილი აქვს „ომომემარცხენო“ გათანაბრებას ხელფასის დარგში. ეს კი ხელს უშლის ქარხანაში სტაბილიზაციის დენადობას, მაგალითად, სახერხი საამქროს გამგე ალექსანდრე ივანიშვილო, თვიური ხელფასს 350 მანეთს ღებულობს ამავე დროს, მის თანაშემწეს, ბაკალები სტაჟის და კვალიფიკაციის მქონე, მელ. ხაბეიშვილის 350 მანეთის ძლევა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზუგდიდის პარტრაიკომმა და პოლიტგანყოფილებამ ხელმძღვანელობა გაუძლიერა, ამის შედეგად ქარხანაში ბრძოლა დაიწყო ხატყეო გეგმების შესრულებისათვის. ამ ბრძოლის ნაყოფიერებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქარხანამ ივლისში გეგმა 39,2 პროც. შეასრულა, აგვისტოში 119 პროც., სექტემბერში 111 პროც. და ოქტომბრის 10 დღეში 100 პროც.

ამ ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რომ ქარხანაში ბრძოლა ხატყეო გეგმების შესრულებისათვის ჯერ კიდევ ვერ გახდა ბოლშევიკური. ამ ბრძოლის ნაყოფიერებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქარხანას ჯერ კიდევ ვერ აქვს ლიკვიდირებული ის ნაკლოვანებანი, რაც ადრე ჰქონდა. ქარხანას ჯერ კიდევ ვერ აქვს ლიკვიდირებული ის ნაკლოვანებანი, რაც ადრე ჰქონდა. ქარხანას ჯერ კიდევ ვერ აქვს ლიკვიდირებული ის ნაკლოვანებანი, რაც ადრე ჰქონდა. ქარხანას ჯერ კიდევ ვერ აქვს ლიკვიდირებული ის ნაკლოვანებანი, რაც ადრე ჰქონდა.

საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, ქარხანას 260 მუშის ნაცვლად 227 მუშა შეუგროვეს, მაგრამ სამხარეო კომიტეტის დავალება ვერ შეასრულეს ჩხოროწყუს და ბა ხის პარტრაიკომებმა. სამხარეო კომიტეტის დავალებით, 26 სექტემბრისათვის ქარხნისათვის ჩხოროწყუს უნდა მიეცა 100 მუშა და გალისას—50, მაგრამ 29 სექტემბრისათვის ქარხანამ ჩხოროწყუდან მხოლოდ 68 მუშა მიიღო, გალის რაიონიდან კი—4. ამ.კავ. სამხარეო კომიტეტის დავალებისადმი ასეთი დამოკიდებულება არ შეიძლება არ შეფასდეს, როგორც აშკარა დაუდევრობა. კერძოდ, გალის რაიონი ამ საქმეს თავიდანვე გულცივად შეხვდა.

მიღებულ მუშების შენარჩუნების მხრივ გასული თვეების შედეგები მეტად არადამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა: აგვისტოში, მაგალითად, ივლისში ქარხანამ მიიღო 150 ახალი მუშა და ამავე ხნის განმავლობაში ქარხნიდან წავიდა 150, აგვისტოში მიიღეს 335 მუშა, წავიდა 358.

მუშათა შორის არ არის განმტკიცებული შრომის დისციპლინა. ადგილი აქვს სამუშაო დღეების სისტემატიურად გაცდენას. 25 სექტემბერს ქარხანაში სიით ირიცხებოდა 293 მუშა, სამუშაოზე მხოლოდ 218 გამოცხადდა. 26 სექტემბერს სამუშაოზე უნდა გამოცხადებულიყო 287 მუშა, გამოცხადდა 202 მუშა. 27 სექტემბერს ნაცვლად 282 მუშისა 212 გამოცხადდა.

რაა ასეთი დეზადენის მიზეზი? ის რომ საცხოვრებელი ბინებით მუშები მინიმალურადაც არ არიან უზრუნველყოფილნი. ზოგჯერ კი პირდაპირ აღმშფოთებელ ფაქტებს აქვს ადგილი მეოთხე კორპუსში (ოთახი № 5) ცხოვრობს 11 ოჯახი, 30 სულით. ოთახის ფართობი კი არ აღემატება 45 კვ. მეტრს № 7 ოთახში, რომელიც 12 კვ. მეტრს უდრის, ორი ოჯახი ცხოვრობს. ეს იმ დროს, როდესაც მთელ რიგ ბინებში მხოლოდ სამი და ოთხი ბუნების მოთავსებულა. ამრიგად, ქარხანას არსებული ბინებიც არა აქვს რაციონალურად გამოყენებული. როგორც ბინებში, ისე ეზოებში გამეფებულია ანტისანიტარია. ადგილობრივი საექიმო პუნქტი ამის წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს არ ღებულობს. თვით საექიმო პუნქტშიაც არ არის სანუკვარო მდგომარეობა, ბინა ორი ოთახით, რომელშიდაც მოათავსებულია საექიმო პუნქტი, სრულიად უვარგისია. პუნქტს არ აქვს მედიკამენტები, ოაც აქვთ —იგიც უსუფთაო მაგიდაზე ყრია.

მუშათა კვების გაუმჯობესებისათვის ჯერ კიდევ არ არის გადამჭრელი ნაბიჯი გადადგმული. სადილების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. სადილის მიწოდება ზუგდიდის შრომის ბირჟაზე სრულიად მოუწესრიგებელია. სადილების დროს ჩნდება მუშათა დახურული სასადილოს ვეებერთელი განსხვავება

ია ეკალაძის გარდაცვალება



გუშინ ტფილისში, გულის სიდამბლით უეცრად გარდაიცვალა მწერალი ია ეკალაძე (იაკობ თომას ძე ცინცაძე).

ალუმინის წარმოების პერსპექტივები საქართველოში

„გიპროალუმინის“ და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის ინიციატივით 25 ოქტომბრისათვის ტფილისში მოწვეულია კონფერენცია საქართველოში ლითონის ალუმინის და ალუმინის ჟანგის წარმოების საკითხებზე.

კონფერენციის წინაშე დგას სამი ძირითადი საკითხი: ადგილობრივი ნედეულის რესურსების ათვისება; რითნზე ალუმინის მცირე კომბინატის მშენებლობის უზრუნველყოფა; იმის გამორკვევა, თუ რამდენად შესაძლებელია ალუმინის დიდი კომბინატის უზრუნველყოფა ნედეულით და ენერგიით რითნზე ახაგეთ მძლავრი ჰიდროსადგურების ბაზაზე.

ალუმინის მცირე კომბინატის აგება განზრახულია ოთონზე. აღნიშნული კომბინატი იმუშავებს როგორც ტყიბულის ფიქალის ნაცრისაგან, ისე ზაგლიგის ალუმინისაგან ადგილობრივად მიღებული ალუმინის ჟანგის ბაზაზე.

ამჟამად სპეციალისტთა ფიზიკურ-ქიმიურმა ინსტიტუტმა და ლ ებითი მინერალოგიის ინსტიტუტმა მოსკოვში სავსებით დაამთავრეს ცდები ლაბორატორიულ და გადიდებული ორატორიული მასშტაბით ამიერ-კავკასიის ნედეულიო რესურსებიდან ალუმინის ჟანგის მისალებად (როგორც ფიქალიდან, ისე ალუმინიდან). ცდების დადებითი შედეგები მოჰყვა.

ამჟამად მოსკოვსა და ლენინგრადში სწარმოებს ნახევრად საქარხნო მასშტაბით ცდები ფიქალის გამოყენების დაოგში.

ალუნიტებზე ნახევრად საქარხნო მასშტაბის ცდები ჩატარდება განკის საცდელ აყალო მიწის ქარხანაში.

მცირე კომბინატის სიმძლავრე ნავარაუდევია 10—12 ათასი ტონა ლითონის ალუმინი წელიწადში და 20—25 ტონა ალუმინის ჟანგი.

«გიპროალუმინმა» უკვე ჩაატარა საპროექტო სამუშაოთა პირველი ნაწილი აყა [illegible] და ელექტროლიზის ნაწილით მილებულ სამრეწველო დავალების მაშტაბით.

დიდი კომბინატის სიმძლავრე ნავარაუდევია 50—75 ათასი ტონა ალუმინი წელიწადში და 100—150 ათასი ტონა, აყალო მიწა (ადს).

მზადება ოქტომბრის 16 წლისთავისათვის

პროფკავშირები შეუდგნენ მუშაობას

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ყველა პროფესიული კავშირის ცენტრალურ გამგეობებს დაავალა 17 ოქტომბრამდე თავიანთი კავშირების ხაზით ჩატარონ სორგანიზაციო თათბირები ოქტომბრის რევოლუციის მეთექვსმეტე წლისთავის დღესასწაულისათვის მოსამზადებლად. ცალკე ფაბრიკა - ქარხნებში მოწვეული უნდა იქნეს პროფაქტივის თათბირები დღესასწაულში ამ თუ იმ საწარმოს მონაწილეობის კონკრეტული გეგმის დამუშავებისათვის.

20-დან 30 ოქტომბრამდე ყველა ფაბრიკა - ქარხანაში, კლუბში და რითელ კუთხეებში უნდა ჩატარდეს სატრები, ლექციები და მიტინგები ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობის შესახებ. ამავე დღეებში პროფორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ სოციალისტურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება და გამოიკვლიონ დამკვეთლების მონაწილეთ' და როლი საწარმოო გეგმების შესრულებაში.

25-დან 31 ოქტომბრამდე პროფორგანიზაციებმა უნდა გამოყოთ მოხალისეთა ბრიგადები მუშათა საბინაო პირობების გამოსაკვლევად. ბრიგადებმა, რომლებშიაც შევლენ ადგილობრივი პარტიული და პროფესიული მუშაობის აქტივისტები, მოსწავლეები და სხ; უნდა შეამოწმონ საწარმოების მუშათა ბინების მდგომარეობა. ამავე დროში პროფორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ის ღონისძიებანი, რომლებიც დაამუშავა საქ. კ. პ. (ბ) ტფ. კომიტეტისა და ტფილისის საბჭოს გაერთიანებულმა პლენუმმა ამ. ბერიას მითითებათა საფუძველზე ტფილისის საქალაქო მეურნეობის გაჯანსაღებისათვის.

ტექნიკურ დაუფლებისა და ახალ საწარმოთა თვისებისათვის ხელისშეწყობის მიზნით, ამავე დღეებში მოეწყობა, ტექნიკური მუშის წრეების საზოგადოებრივი გამოკვლევა და მოწინავეთა გამოცდილების სხვებისათვის გაზიარების საღამოები, მოეწყობა ავრეთვე „ინტერნაციონალური კონგრესები“ იმ სახით და ისეთივე შინაარსით, როგორც მოწყობილი იყო ათტიპერიალისტურ დღეს — 1-ლ აგვისტოს.

სოფლად მომუშავე პროფორგანიზაციებმა დღესასწაულისათვის მომზადების პერიოდში უნდა ჩაატარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შემოწმება შემოდგომის თესვისა და დაზადებათა გეგმების შესრულების თვალსაზრისით.

ქალაქის საღლესასწაულოდ მოსართავის გეგმა

ტფილისის საბჭოსთან გამოყოფილმა ოქტომბრის დღესასწაულის ჩამტარებელმა კომისიამ მხატვრებისა და ეკონომისტების ჯგუფს დაავალა ქალაქის საღლესასწაულოდ მართვის ერთიანი გეგმის დამუშავება. წელს შენობები დროშებით, გიორგობებით, ჯრხებით და ილუმინაციით მოსართული უნდა იქნეს გეგმით გათვალისწინებული წესით ცალკე ქუჩების მოსართვისას დაცული იქნება ერთი თემატიური ნაზი. ერთი ქუჩა უნდა იძლეოდეს ჩვენი სამრეწველო ზრდის სურათს, მეორე — კულტმშენებლობის ფრონტზე მიღწეულ წარმატებებს. მესამე — სოფლის მეურნეობისას და ა. შ.

ერთიანი მხატვრული გეგმა დაცული იქნება დემონსტრაციების მსვლელობის ცალკე საწარმოთა მუშების დელეგაციებისა და სხ.

სტუმრად წითელარმიელებთან

8 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის მეთექვსმეტე წლისთავისა და წითელი არმიის არსებობის 15 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყობა ტფილისის საბჭოს და რაიონული საბჭოების წევრების სტუმრობა წითელ ყაზარმებში.

ამ დღეს წითელარმიელებს ისტუმრებიან ცალკე საწარმოთა მუშების დელეგაციები.

კწდ არმიის 15 წლისთავისათვის

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის 15 წლის თავთან დაკავშირებით, კ.წ.დ. არმიის პოლიტსამმართველო სთხოვს ამხანაგებს — მე-11 წითელი არმიის ბრძოლებისა და ლაშქრობის მონაწილეებს, გამოცხადდენ არმიის ვეტერანების კრებაზე 17 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე, ყოთელი არმიის სახლში. (შესასვლელი ყოფ. დავიდოვის ქუჩიდან მე-3 სართული).

მე-11 არმიის იმ ვეტერანებს, რომლებიც ტფილისში არ ცხოვრობენ, ვ...ოვთ 15 წლის თავთან დაკავშირებით დაბრუნდნენ და გამოგზავნონ კ. წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოში თავიანთი მოგონებები.

კ.წ.დ. არმიის პოლიტსამმართველო

ქრონიკა

● **მოხსენებები სამეცნიერო საკითხებზე.** დღეს საღამოს 8 ს. საქ. ქიმიკოსთა სამეცნიერო საინჟინერო ტექნიკური საზოგადოების (კამოს ქ. № 34-36 გამოყენებითი ქიმიის ა.-კ. ინსტიტ. აუდიტორია) გაიმართება მოხსენებები: 1. „ადგილობრივი ბუნებრივი მცენარეული საღებავების უტილიზაცია ხალიჩების წარმოებაში“. მომხსენებელი ე. ს. ტყეშელაშვილი. 2. „ფიზიკური ქიმია კირის შესწავლაში“. მოხსენებელი პროფ. დ. ხ. ზავრიევი. შესვლა თავისუფალია.

● **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება ბენ. ბუაჩიძის წიგნი: „კვაჭიდან — არსენა მარაბდელამდე“ (მიხ. ჯგავხიშვილის შემოქმედების შესახებ). წიგნი შეიცავს 116 გვ. და ღირს 1 მ. 50 კ. გამოცემა „ტექნიკა და შრომისა“.

● **გერმანული ენის კურსები.** მეცნიერების მუშაკთა სიკეთის ბიუროს დადგენილებით, კვლავ იწყებს მუშაობას სექციასთან წინათ არსებული გერმანული ენის კურსები. კურსებზე მიიღებიან მეცნიერი მუშაკები (ასისტენტები, ასპირანტები და სხვ.) აგრეთვე საშუალო სკოლების მასწავლებლები. მსურველთ ცნობების მიღება შეუძლიათ მეცნ. მუშ. სექციაში (პროფსაბჭოს მე-3 სართული, ოთახი № 43).

ხელოვნება

კ. მარჯანიშვილის სახელოგნის თეატრში

დღეს, 12 ოქტომბერს, იხსნება სეზონი კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. მიიღებს „ურიელ აკოსტა“, რომელშიაც მთავარ როლებს ასრულებენ: იგდითი — ვ. ანჯაფარიძე, ურიელი — პ. კობახიძე, დე-სილვა — შ. ღამბაშიძე, დე-სანტოს—მ. სარაული, ესტერი — ე. დონაური, ბენ-აკიბა—ს. ყორჟოლიანი.

„ურიელ აკოსტა“-ს შემდეგ აღდგენილი იქნება „მაში“ და „მზის დაბნელება საქართველოში“.

ამჟამად თეატრი მუშაობს „ოტელო“-ზე, რომელიც წავა სრულიად ახალი გაფორმებით (რხატ. პ. ოცხელი). როლები გადაწყვეტილია შემდეგნაირად: „ოტელო—შ. ღამბაშიძე, იაგო—უ. ჩხეიძე, შ. გომელაური და კ. დაუშვილი, დეზდემონა — ვ. ანჯაფარიძე, ნ. მაჭავარიანი და ე. სიბილა. კასიო — პ. კობახიძე და გ. შავგულიძე, როდერიგო—ვ. გოძაშვილი და ალ. გომელაური, ემილია — თ. ჭავჭავაძე, ბრაბანციო—ს. ყორჟოლიანი. „ოტელო“ წავა ნოემბრის პირველ ნახევარში.

მუშა - მაყურებლის შემოკრების მიზნით თეატრმა გამოუშვა აბონემენტები 17 სერიად, თვითეთულში 8 წარმოდგენით. აბონემენტები მთლიანად გასაღებულია. ამას გარდა, თეატრში გამოყოფილია წლიური ბილეთები წარმოებათა საუკეთესო დამკვრელებისათვის.

დღეს, სეზონის გახსნისას, თეატრის შეფი—ტფილისის სარემონტო ქარხანა აწყობს თეატრში კულტურულ ლაშქრობას — მუშების კოლექტიურად დასწრებას წარმოდგენაზე. თეატრმა თავის მხრივ შეფობა აიღო სარემონტო ქარხნის დრამატიულ წრეებზე, რომლებსაც დახმარს თავის რეჟისორებს.

თეატრს გადაწყვეტილი აქვს თავისი დადგმები გაატანოს მუშათა უბნებში, კერძოდ პლეხანოვის და ორჯონიკიძის სახელობის კლუბებში, სადაც წარმოდგენები გაიმართება თვეში ორჯერ.

17 ოქტომბერს სრულდება ნახევარი წლისთავი კ. მარჯანიშვილის გარდაცვალებიდან. ამ დღეს თეატრი აღინიშნავს სამოქალაქო პანაშვიდით თავის დამფუძნებლის ხსოვნას.

სტალინის სახელოგნის უმაღლეს კომუნისტურ სას.-სამეურნეო სკოლაში ჩარიცხულთა სია

საქ. ალკა ცეკას მიერ საქ. უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლასთან არსებულ კომკავშირულ განყოფილებაზე ჩარიცხული არიან შემდეგი ამხანაგები: მგალობლიშვილი კლიმენტი (26 კომრაიკომი), გოგია არტემ (ლენ-რაიკომი). კერესელიძე ილია (ორჯ. სახ. რაიკომი), ხავთასი ვასო (ოზუგეთის რაიკომი), სამხარაძე რაისა (ზესტაფონის რაიკომი), მხეიძე დავით (ტყიბულის რაიკომი), ყორჟოლიანი ნინო (ქუთაისის რაიკომი), გოგრაჭიკაძი ვალიკო (ონის რაიკომი), ჩხობაძე სონია (ჭიათურის რაიკომი), ონიანი არდევან (ქ. სვანეთის რაიკომი), ლომიძე ნიკოლოზ (სამტრედიის რაიკომი), ყურაშვილი ვახტანგი (ორჯ. რაიკომი), გოგოძე თამარ (სამტრედიის რაიკომი), ჩაზჩაძე შალვა (გორის რაიკომი), ჯინჭარაული ტრიფონე (თიანეთი), ახვლედიანი (ცაგერი), ზავრაშვილი ნიკო (ყვარელი), კიკნაძე შარო (ლაგოდეხი), ნიკუაშვილი გრიგოლ (ლეკემონი), დარახველიძე გრიგოლ (ლეკემონი), ლეკიშვილი შოთა (ლეკემონი), ჩანადირი ვახტანგი (დივიზიის პოლიტგანყოფილება); კალანდაძე თამარი (ქუთაისი), ჯაბავა ვალერიან (ხობის რაიკომი), სურგულაძე მიხეილ (სენაკის რაიკომი), ტაბახაძე ნარო (სტალინისი), კერესელიძე ელენე (კომკ ცეკა), პაპასთან ხასან (აჭარისტანი) ბოლქვაძე ისმაილ (აჭარისტანი), ღუდუნი შუქრი (აჭარისტანი), თოდაძე დავით (აჭარისტანი), მამასახლისაშვილი სერგო (აჭარისტანი), გორდაძე გრიგოლ (პოლიტგანყოფილება), ლეკვეიელიძე იასონ (პოლიტ - განყოფილება), კანაშვილი ვასო (ლეკემონი), წიკლაური ვერა (ტფილისი), ლომმაძე ნატო (აჭარისტანი), თხილაშვილი ლუბე (აჭარისტანი).

დეკემბერში აღნიშნულ განყოფილებაზე დაიწყება 15 ოქტომბერს — მიღებული ამხანაგები უნდა გამოცხადდენ სტალინის სახელობის უმაღლეს კომუნისტურ სკოლაში (ტფილისი სასამართლოს ქ. № 32). 15 ოქტომბერს, ვინც ამ დროისათვისაც გამოცხადდება გაირიცხება მექანიკურად. ამხანაგებმა თან უნდა იქონიონ ქვეშსაგები

საქ. ა.ლ.კ.კ. ცეკას მდივანი
გიორგობიანი.
საქ. სტალინის სახელობის უმაღლეს კომუნისტურ სას.-სამ. სკოლის რექტორი
ცრკომაიშვილი.

სახალხო არტისტ-კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაკრძალვა ტფილისში. სურათზე: ნეშტის გამოსვენება სახელმწ იფო კონსერვატორიიდან. მარცხნივ ამხ. ს. თოდრია საქ. მთავრობისა და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სახელით ზ. ფალიაშვილის ხაფლავთან ამბობს სიტყვას.

—:—

ზ. ფალიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი სხდომა წყალტუბოში

წყალტუბო, 10 ოქტომბერი

10 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ჟუროროტ წყალტუბოს პარკში შედგა სახალხო არტისტ — კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი სხდომა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. სამგლოვიარო სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ბუდუ მდივანმა, კოტე ფოცხვერაშვილმა, ს. გრიშაშვილმა, ვანო ლექვთაძემ და გიორგი მეფარიშვილმა. სამხედრო ორკესტრმა ამხ. დოლენკოს ხელმძღვანელობით შეასრულა ზ. ფალიაშვილის მუსიკალური ნაწარმოებები. წყალტუბოს სამუსიკო წრეს ეწოდა ზაქარია ფალიაშვილის სახელი.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

საქ. პროფკავშირის ნაკრები და კალინინის სახელობის ქარხნის გუნდი

10 ოქტომბერს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ამხანაგური შეჯიბრება საქართველოს პროფკავშირთა ნაკრებს და კალინინის სახელობის ქარხნის გუნდებს შორის. თამაში დაიწყო კალინინელების [illegible] 35 წუთით გახანგრძლივდა ინიციატივა აერიოდულად გადადიოდა ხან ერთი, ხან მეორე გუნდის ხელში. პირველი ნახევრის მე-40 წუთზე პროფკავშირის ნაკრები გუნდის წევრი, თავდამსხმელი—სხპრულიძე ბურთს ათავსებს კალინინელების ბადეში. თამაშის პირველი ნახევარი მთავრდება 1:0 თამაშის მეორე ნახევარ კლუბ კალინინელების უპირატესობით იწყება. ისინი ხშირად ქმნიან კრიტიკულ მომენტებს პროფკავშირის გუნდის კარებთან, მაგრამ მოწინააღმდეგეების მოხერხებულ თავდაცვის გამო მიზანს ვერ აღწევენ. საბოლოოდ თამაში დამთავრდა 1:0. პროფკავშირის გუნდიდან კარგად თამაშობდა სიხარულიძე და ვაჩნაძე, ბურთს კარგად იგერიებდა [illegible]

—:—

12 ოქტომბერს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და საქ. სხ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება.

13 ოქტომბერს ერთმანეთს შეხვდებიან „დინამო“ პირველი და ფოთის ფეხბურთელთა ნაკრება გუნდი, 14 ოქტომბერს კი ტფილისის ნაკრება და ფოთის ნაკრება გუნდები. ყველა შეჯიბრება ჩატარდება ლენინის სახელობის სტადიონზე.

კარტიული და საბჭოთა კანცელარია

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ც.საკ. პარტკოლეგიაში (რუსთ. პროსპ. № 24), მე-3 სართული, ოთახი № 6) გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე განხილული იქნება მათ დაუსწრებლად. საძაგლიშვილი (ლაგოდეხის სამ.-სტრ. სოდ. ყოფ. უფროსი), ფურცელაძე (ლაგოდ. სამ.-სტ. სოდ. უფროსის მოადგილე). ოჭარიენკო სტეფანე ვასილის ძე, ჯუმბურიძე ოსების ბესარიონის-ძე; გასეიანი მედია, ლემონჯავა რაჟდენ, მიხაილიდი კონსტანტინე (ატენგზის საგარ. რაისაბჭოს ყოფ. პ.-ბე. მდივანი, როგორც შალვა მიხეილიძე, მახარაძე შოთა ალექსანდრეს-ძე, ხუბუღიანი შარდენ, საათაშვილი ილია ზაქროს-ძე; ტრაისი იოსების (ხოხუმის მუშაკი მომარაგების დარგში) არუშანოვი (ციხისჯვარის საბჭ. მეურნ. ყოფ. დირექტორი), ჩერნიკოვა ულიანა თედორეს ას., იალაშვილი ხალეფი ილიას-ძე ჯგავხიშვილი ბესარიონ, გორდელაძე გიორგი, ადოლაშვილი გიორგი ელიაშვილი ალექსანდრე, კაკუტია აკაკი, შალამბერიძე აკაკი, გოგიაშვილი ეტატე; სალმაშვილი გიორგი დიმიტრის-ძე, კაზარიანი ივანე აგაჯანის-ძე, რუსიაშვილი შალვა კონსტანტინეს-ძე, აბშარუმოვი (ლენინგრადის ბერძენობის ინსტ. ყოფ. სტ); მანზულაშვილი შიო ნავლოს-ძე, ბურდიუკი ე. ს. დოლიძე ვალერიან აროონის-ძე; სალაძე ლევან (მახურცეთის ელსადგურის ყოფ. მეიგანი), ანწუკოვი გიორგი პაკულის ძე ბაბია ივლიტე, ბაბუა მათე და ძმები: რამაზ, ნოდარ და ბაადურ გვეტაძეები იუწყებიან, რომ 1ა ოქტ. 2 ს. გადახდილი იქნება საფასური

გურამ ზაზა და ასმათ გვეტაძეების
სამოქალაქო პანაშვიდი
2—2

ნინო და რაჟდენ გვეტაძეები იუწყებიან, რომ 12 ოქტ. შუადღის 2 საათზე, ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამი შვილის
გურამ, ზაზა და ასმათ გვეტაძეების
სამოქალაქო პანაშვიდი
2—2

ავტო შემკეთებელ ქარხნის მმენებლობის სამკუთხედი და დირექცია იუწყება პარტიის წევრის შოფერის
გრიგოლ მურალოვის
უდროოდ გარდაცვალებას გამოსვენება მეორეს ქ. № 18 ვერის სასაფლაოზე 12 ოქტ., 2 საათზე 258

საბინაო ამხ ბა № 138 ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ბანმოქალე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე აქხანაგობის თავმჯდომარე
გრიშა ზაქარიას-ძე მურალოვი
დაკრძალვა 12 ოქტ. 2 ს. არაეულს ქ. № 18-20 ვერის სასაფლაოზე. 246

ვალოდია ერისთავის გულითადი მეგობრები მ გელოვანი, დ ჯაფარიძე, ვ ჭიპინაძე, და ი. ვარდანაშვილი იუწყებიან რომ 12 ოქტ. 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია
ჯონდო-ერისთავის
სამოქალაქო პანაშვიდი 259

ტფილისის სახ ოპერის თეატრის დირექცია, ადგილკომი, პარტუჯრედი და კოლექტივი იუწყებიან თეატრის უძველესი მუშაკის
ივანე ნიკოლოზის-ძე მზეიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 12 ოქტ. 4 ს. ბინიდან, კათოლიკური ქ. 1, ვერის ახალ სასაფლაოზე. 276

დამწუხრებული ცოლი ელისაბედი, შვილი თამარი, სიძე გრიშა. შვილისშვილები ზურაბი, ცისანა ნემსიწვერიძეები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ
თადეოზ გაბრიელის ძე ბალანჩივაძის
გარდაცვალებას. დასაფლავება ჭუთაისში 13 ოქტომბერს 5 ს. თაბუკაშვილის 10. 2ა9

დამწუხრებული ქმარი გიორგი, შვილები: ელენა, შურა გრიგოლები. სიძე, ს ხუციშვილი, რძალი ტატო, ძმისშვილი გრიშა გაბუნები იუწყებიან, რომ 12 ოქტ. 4 ს ჯუკის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ტფილისის საავმშენებლო ტექნიკუმის მე 3 კურსის მსმენელი
სერგო კირთაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 264

ნინა და ძიმა გულუა გახუსაღრელ მწუხარებას გამოსთქვამენ
ვალია დიასამიძის
უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა ჭ. ბათომში 12 ოქტ. 254

მცხეთის ათწლედის მასწავლებლები: მამფორია, ჭურიაძე, ჩხეიძე. გარსევანიშვილი, გოლუა. ალშიბაია, ლაშხური ბარაშიძე, გიორგობიანი, თითარაშილი, მაჩხუნელი და მოწაფეები თანაგრძნობას უცხადებენ მასწავლებელ რაისა ყლენტის მისი ძმის
გიორგი ყლენტის
გარდაცვალების გამო. 218

ღრმად დაძწუხრებული ძმები: ვიქტორი და იუსტინე, რძალი ნინა ძმის შვილი ქეთო ბალანჩივაძეები აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს ძვირფასი ძმის
თადეოზ გაბრიელის ძე ბალანჩივაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 ოქტ. ჭალ. ჭუთაისში თაბუკაშვილის ქ. № 10 ა5

ელენა და ისიდორე იაშვილები, ლოლა და გიორგი ცინცაძე შვილებით: ტიტიკო გოგოლაშვილი იუწყებიან ძმისშვილის დაუვიწყარ და საყვარელ დისშვილის
ვალია აბაშიძე-დიასამიძის
გარდაცვალებას 275

გიორგი სულხანის-ძე, კრისია ოთარის ასული ჩიტლაძეები სოლიკო, ელიჩკო თამარა ცინცაძეები იუწყებიან რომ 12 ოქტ ერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ტფილისის საავმშენებლო ტექნიკუმის მე 3 კურსის მსმენელის
გრიშა რაფიელის ძე ცინცაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 273

სამკერნალო შოთიის დისპანსერის მუშაკთა მოსამსახურე ი მწუხარებით იუწყებიან თანამშრომელ მარიან დადიანის მეილია
პატარა არჩილ (კიტუშას)
უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა 12 ოქტ. 1 ს. სამხედრო ქ. № 5 ვერის სასაფლაოზე 2 ს

სახ. ოპერა

დ ღ ე ს	13 ოქტომბერს	14 ოქტომბერს
მე-4 აბონ. 1 წ.	მე-6 აბონ. 1 წარმ.	8 აბონ. 1 წარ
ჩიო-ჩიო-სან	**კიკის ქალი**	**რიგოლეტო**

დაიწყო მე-3 ძორ. გადასასვლ. მიღება წყვილ აბონემენტებზე. ის აბონენტები, როელთაც თავისი წარძოდგენის დღის 2 საათამდე არ ეჩვენებათ გადახდილი მესამე მორიგი გადასახდელი, კარგავენ სპექტაკლზე დასწრების უფლებას და მათი ადგილები გაიყიდება ცალობით. 223

რუსთ. მუშაკთა სახლ. ხალხმეტყველის 1933—34 წ.

15 ოქტომბერს	16 ოქტომბერს	17 ოქტომბერს
1 აბ 1 წარ.	3 აბონ. 1 წარ.	5 აბონ. 1 წარ.
in tirannos	in tirannos	in tirannos

მეორე გადასახადი სავალდებულოა შეტანილი უნდა იქნას წარმოდგენის დღის 2 საათამდე. სალაროს ღიაა 11—2, 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე. 6. 394

ხალხის სახლი

თეატრი 8 9-20, 10-40.	სათავგად.-სალარო ფილმი **აბრამ-ზაური**
ლაკატრელი სოფ. დასაწ. 7-30	სათავგ. მხ. ფ. **ცეცხლოვანი რეისი** პროკრამის გარეშე საბჭ. საქ. № 14
ტექნიკური სახ. 7-30, 9-20, 11 ზამთრის 7, 8-45, 10-30	სათავგ. ფილ. **შკანასკ. ატრაქციონი** პროგ. გარ. ყურ. № 23
კომინტერნი (დიდუბე) 6-30, 10	მხატვრული ფილმი **გულატ-ბატირი**
ოქტომბერი 6, 7 30, 9, 10-30.	მხატ. ფილმი **გრლოვის ფრთები** პროკრამის გარეშე საბჭ. საქ. № 14
ლაკატრელი 6, 7-30, 9, 10-30.	მხატვრული ფილმი **ოტელო** პრ. გარ—ყურ. საბჭოთა საქ.
რ. ლიუქსემბურგის 6 30 8 9-30 11	ხმოვ. კომ **მედიცინური ბამცემი** მთ როლები **იგორ ილინსკი.**
სახარტაკი 6, 7-30 9, 10-30	მხ. ფ. **კონდრაბაბინდისტები ჩილიში** პრ. გარ. ყურ. სადარაჯოზე № 8
ჟნ-ის ახელობის (ავლაბარში)	საზღვარგარეთული მხატ. ფილმი **სალამგო**
მეკახიერება დ თქმნიკა 9-30	ახალი ფილმი **მხარის დაბადება** პრ. გარ. ყურ. მეცნ. და ტექნიკა
საბავშვო კინო დღეს 12 და 2 საათზე	საბავშვო ფილმი **კოპე ლი** პრ. გარეშე პიონერი № 7.

ხალხის სახლის კინო-თეატრები:

13 ოქტომბრიდან, სახკინოქსელის კინო-თეატრებში:

ტ ე მ პ ი	დ ა მ კ ვ რ ე ლ ი
(სეანსები 6, 7-30, 9, 10 30).	(საზამთრო შენობა)
საზღვარგარეთული ისტორიული ფილმი **სალამგო** გუატავ ფლობერის რომანის მიხედვით. დადგმა რეჟისორ პიერ მარო-დონის. პროგრამის გარეშე **სახკინოქსელის ყურ. № 14.**	ა. ს. პუშკინის მიხედვით **კაპიტანის ქალიშვილი** რეჟისორი იური ტარიჩი. პროგრამის გარეშე **სოიუზკინოს ყურ. № 23.**

„გრუზოგკომი“
მაღაზია № 4, სომხის ბაზარი № 3.
უკანასკნელად წინადადებას აძლევს
კომიტენტებს, რომლებმაც ჩააბარეს თავიანთი ნივთები საკომისიოდ გასასყიდათ, **წაიღონ თავიანთი ნივთები უკან.** 3 ღლის შემდეგ დარჩენილი ნივთები მაღაზიის საკუთრებად იქცევა. 257

ავჭალაში
სენტრლიტის მშენებლობას სასწრაფოდ ესაჭიროება
მიწის მთოკნელები, დურგლები, მემოტორეები, არმატურაჩიკები და სხვა დამხმარე მუშები.
ყველა სამუშაოები არის სანრდო. მუშები მარაგდებიან 1-ლი სიით, მიეცემათ უფასოთ საცხოვრებელი ბინა. მუშებისათვის გახსნილია დახურული კოოპერატივი.
მსურველები უნდა გამოცხადდენ ავჭალაში ცენტროლიტის მშენებლობის სამმართველოში.
5—4 125 დირექცია.

გურჯაანის კურორტ მომარაგების და კურორტ ახტალის მუშა მოსამსახურენი მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის და იშვიათი თანამშრომლის
გიორგი დათას ძე ულენტის
გარდაცვალების გამო.

სამუდამოდ დამწუხრებული დები: აკირიხა, თამარა, ბაბილინა, სიძეები ილიკო. ბიკტორი, გალაკტიონი შვილებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას
კოჭია გულდღეკავას
დაკარგვას. დაკრძალვა 12 ოქტ. ს. ჭაგანში.

უსაზღვროდ დამწუხრებული ელიჩკა და სევერიანე ფალავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი პატარა ბიძაშვილის
არჩილ (კიტუშას)
უდროოდ დაღუპვას. 249

ეძიებს
დ. ლ. თევზაძე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყელის ყურის და ცხვირის სნეულებანი. მომლილობანი ხმის და მეტყველებისა ბრონხოეზოფაგოსკოპია.
მიღება ყოველ დღე საღ 5—7 ს. ჭონქაძის ქუჩა ყოფ. გუდვილის) № 9 სოლოლაკი. ტელ. 5—94.

ეძიებს
კ ც. ცუციშვილი
განაახლა ავადმყოფების მიღება (ვენერიული და კანის).
დილით 8—9, საღამოთი 7—8 საათ.
ბელგიის ქ. № 1 (მთავარი ფოსტის ახლო) 1464

ეძიებს ძალ. ნინო მირინაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება **კანის და ვენერიული ავადმყ** (უფსკათი) მხოლოდ ქალების და ბავშვების.
მიღება 5—7 ს. მოსკოვის ქ. № 9, ტელ. 4-93. 243

სახოერის საკორიცხო სექტორი: აპირაჯიბი, ბიზიმბარელი, წულაძე, კონიაშვილი, მელიონი, პეტროსიანი, თ. ჭავჭავაძე, ხ. ჭავჭავაძე, ცოციაბოვა, ახერიოვი. ჭურციკიძე, თ. მ. ჭავჭავაძე შეუხარებით იუწყებიან რესპუბლიკის სახ. ლხო არტისტის-კომპოზიტორ
ზიტორ ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილის
გარდაცვალებას. 255

ღრმად დამწუხრებულნი: თომა, ცოლით სადიკო. შვილებით: ვახტანგი და ვანო ჯახაძეები აცნობებენ ნათესავებ და მეგობრებს, რომ ტრაღიკულად დაიღუპა მათთვის საყვარელი მეგობარი
კოჭია გულდეკავა
დაკრძალვა ჭაკანში 12 ოქტ.

ტატიანა ციციკაძე-კვიციაიძისა და ალექსანდრე კვიციაიძე შვილებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ 12 ოქტ. 12 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი.
ალოლფ კლემენტის ძე კვირის
27ი

თვალის სნეულებათა ინსტიტუტის ადგილკომი და [illegible] თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ექიმ პლატონ ოტიას-ძე კორშანიას დედის
მაკრინა კორძაიასი
გარდაცვალების გამო. 261

დამწუხრებული ცოლი სალომე, შვილები: ბიკტორი და ალექსანდრე ცოლშვილით ტაბიძეები იძეები: ვანიჩკა და კოლია ცოლშვილით იუწყებიან დაუვიწყარ
დარისმან სიმონის ძე ტაბიძის
გარდაცვალებას. დასაფლავება ქ ხონში (ს. ივანიძეში) 396

ეძიებს ძალ. ნინო მირინაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება **კანის და ვენერიული ავადმყ** (უფსკათი) მხოლოდ ქალების და ბავშვების.
მიღება 5—7 ს. მოსკოვის ქ. № 9, ტელ. 4-93. 243

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ 11 ოქტომბერს ტფილისში უეცრად გარდაიცვალა მწერალთა კავშირის წევრი, მწერალი
ია ეკალაძე
(იაკობ ცინცაძე)
სამოქალაქო პანაშვიდი ყოვილდღე საღ. 7 ს. ბინაზე ყიფიანის ქ. № 11.

მწვალები: ნაია ირინე და სოლომონი, ოთარ ოლეკო, სიძე იაკობ დემურიშილი და შვილისშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას მამის
ია ეკალაძის
(იაკობ თომას ძე ცინცაძის)
უეცარ გარდაცვალებას

თავზარდაცემული მშობლები: ხეოლინა, ჯიბუღლო ბებია თებრონე ძმები: აკაკი, ისაკო, დუნე ცოლშვილებით, ლიდა ჯაიანები, სიძე ალექსი ბახტაძე იუწყებიან საყვარელ
**სარა